



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №143

2011 წლის 28 ოქტომბერი



ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №153 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის #153 განკარგულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობის 2011 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 101810 ლარით დანართის შესაბამისად“.

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი დანართით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

**ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების
ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს: ქ. ხაშურში განთავსებულ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, აგრეთვე დაბა სურამში არსებულ ბიბლიოთეკას

პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები

● უნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);

● შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით;

● ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა;

● საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა;

● ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა;

● ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;

● არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის;

● ელექტრონული მედიათეკის შექმნა;

● წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით;

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 101300 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	81874
22	საქონელი და მომსახურება	19936
	სულ	101810

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა.
- ბიბლიოთეკით მომსახურების გაუმჯობესება.
- სერვისით მომსახურების გაუმჯობესება.